დანართი №2

2016 წლის 09 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ მ.შ.№18-16 ხელშეკრულებაზე (CMR 160193058)

თბილისი **09 . 02. 2017 წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი შენგელიას** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), მიმწოდებელი ორგანიზაციის 2017 წლის 09 თებერვლის №29 წერილისა და 2016 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მ.შ.№18-16 ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის 2016 წლის 09 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მ.შ.№18-16 ხელშეკრულებაში (№6 (მოიცავს ყოფილ №7 ზონას) ზონაში შემავალი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოები) (შემდგომში - ხელშეკრულება) და ხელშეკრულების მოქმედების ვადად 2017 წლის 09 თებერვლის ნაცვლად განისაზღვროს 2017 წლის 10 აპრილი.

2. დანართით განსაზღვრული ცვლილება იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, 2017 წლის 07 მარტამდე განაახლოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის არსებული უპირობო საბანკო გარანტია. განახლებული უპირობო საბანკო გარანტია უნდა მოქმედებდეს 2017 წლის 10 მაისის ჩათვლით. საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს არსებული უპირობო საბანკო გარანტია სრულად და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

5. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თავმჯდომარის მოადგილის	**შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“**
მოვალეობის შემსრულებელი	**დირექტორი**
ალექსანდრე თევდორაძე	**გიორგი შენგელია**